ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის და

საკითხების საჯარო განხილვის

**ოქმი N 50**

19 სექტემბერი, 2025 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

14:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ლევან აბაშიძე.

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

თინათინ ნიბლოშვილი

თამარ ჩახვაშვილი

მარიამ ზაქარიაშვილი

სხდომას ასევე ესწრებოდნენ დაინტერესებული პირები:

1. გიგა გვენცაძე
2. ირაკლი შამათავა
3. დარეჯან გაბოძე
4. მარინე კილაძე
5. ნათია დავითაშვილი
6. ეთერ გამკაძე
7. გიორგი ცოცხალაშვილი

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ ლევან აბაშიძემ. მან დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

## დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, ბორის პაიჭაძის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის 13 მაისის სახელის მინიჭების შესახებ
2. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ფრიდონ ხალვაშის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის პოეტის ზურაბ გორგილაძის სახელის მინიჭების შესახებ
3. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, დოდო ჭიჭინაძის ქუჩასთან არსებული უსახელო მოედნისთვის მსახიობის დოდო ჭიჭინაძის სახელის მინიჭების შესახებ
4. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, პაატა სააკაძის ქუჩის მონაკვეთისთვის დოდო ჭიჭინაძის II ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ
5. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, სულიკო თორთლაძის ქუჩის გაგრძელების და ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის სულიკო თორთლაძის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ
6. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, გლდანისხევის ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის, მიხეილ გამკაძის სახელის მინჭების შესახებ
7. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ელიას მთის ქუჩის მონაკვეთისთვის და I ჩიხისთვის იელის სახელის მინიჭების შესახებ
8. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ელიას მთის ქუჩის გაგრძელების შესახებ
9. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ოქროყანაში, ცივი წყაროს ქუჩის გაგრძელების შესახებ
10. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, გიორგი ოდიშვილის ქუჩასთან არსებული ორი უსახელო შესახვევისთვის გიორგი ოდიშვილის I და II შესახვევების სახელის მინიჭების შესახებ.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ ლევან აბაშიძემ დამსწრე საზოგადოებასთან ერთად  დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი განიხილა.

**1. ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, ბორის პაიჭაძის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის 13 მაისის სახელის მინიჭების შესახებ**

**მოისმინეს:** ლევან აბაშიძემ დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველი საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა და აღნიშნა, რომ საკითხის ინიციატორები საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი გრიგოლ გვენცაძე და საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა გაერთიანების პრეზიდენტი ვახტანგ ქორიძე არიან. მათივე ინფორმაციით, 1981 წლის 13 მაისს დინამო „თბილისმა" ევროპის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული საფეხბურთო ტურნირი  უეფას თასების მფლობელთა თასი მოიგო. ლეგენდარული წევრების პატივსაცემად და  ქართველებისთვის ამ განსაკუთრებული და დაუვიწყარი დღის აღსანიშნავად,  კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია დედაქალაქში არსებობდეს 13 მაისის სახელობის გეოგრაფიული ობიექტი. კომისიამ  სახელდებისთვის შეარჩია  დიდუბის რაიონში, ბორის პაიჭაძის ქუჩასთან დინამო თბილისის საფეხბურთო კომპლექსის მიმდებარედ არსებული უსახელო სკვერი.

**აზრი გამოთქვეს:** კომისიის სხდომას ესწრებოდა  გრიგოლ გვენცაძე. მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ 1981 წლის 13 მაისი განსაკუთრებული თარიღია არა მარტო ქართული ფეხბურთის, საერთოდ ქართული სპორტის ისტორიაში და მადლობა გადაუხადა კომისიას თანამშრომლობისთვის და სახელდების პროცესში აქტიური ჩართულობისთვის.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი

მომხრე - ოთხი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

**გადაწყვიტეს:** დიდუბის რაიონში, ბორის პაიჭაძის ქუჩასთან არსებულ უსახელო სკვერს მიენიჭოს 13 მაისის სახელი.

2. **ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ფრიდონ ხალვაშის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის პოეტის ზურაბ გორგილაძის სახელის მინიჭების შესახებ**

**მოისმინეს**: ლევან აბაშიძის ინფორმაციით, მთაწმინდის რაიონში, ფრიდონ ხალვაშის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის კომისია პოეტის ზურაბ გორგილაძის სახელის მიანიჭებას განიხილავს. ტერიტორიის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ქუჩა უშუალოდ ესაზღვრება ფრიდონ ხალვაშის ქუჩას.

თბილისში არსებული ერთ-ერთი ქუჩისთვის ფრიდონ ხალვაშის სახელის მინიჭება თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ თავის დროზე საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის მომართვის საფუძველზე განახორციელა, იმავე მომართვით, მწერალთა კავშირი ასევე ითხოვდა ერთ-ერთი ქუჩისთვის ზურაბ გორგილაძის სახელის მინიჭებას.

**მოისმინეს**: კომისიის სხდომაზე ზურაბ გორგილაძის ბიოგრაფიაზე და მოღვაწეობაზე ვრცლად ისაუბრეს. პოეტი და ღირსების ორდენის კავალერი ზურაბ გორგილაძე 1963 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციასთან არსებულ ჟურნალ „ჭოროხის" სარედაქციო საბჭოში მხატვრულ რედაქტორად.

კომისიის სხდომას ესწრებოდა მწერალი, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი ირაკლი შამათავა. როგორც მან აღნიშნა, ზურაბ გორგილაძემ აჭარაში რთული პოლიტიკური ვითარების პირობებში შეძლო პოეზიით ხალხის გაერთიანება. ლეილა გორგილაძემ, რომელიც სამწუხაროდ, ასაკიდან გამომდინარე კომისიის სხდომას ვერ ესწრებოდა, სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით მადლობა გადაუხადა კომისიას. ის ფაქტი, რომ ბათუმის შემდეგ დედაქალაქშიც გაცოცხლდება პოეტის სახელი, მნიშვნელოვანი და დასაფასებელი ნაბიჯია.

კომისიის წევრებმა საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი

მომხრე - ოთხი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

**გადაწყვიტეს:** მთაწმინდის რაიონში, ფრიდონ ხალვაშის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს პოეტის ზურაბ გორგილაძის სახელი.

**3. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, დოდო ჭიჭინაძის ქუჩასთან არსებული უსახელო მოედნისთვის მსახიობის დოდო ჭიჭინაძის სახელის მინიჭების შესახებ**

**4. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, პაატა სააკაძის ქუჩის მონაკვეთისთვის დოდო ჭიჭინაძის II ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ**

**მოისმინეს:** ლევან აბაშიძემ კომისიის წევრებს დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე და მეოთხე საკითხები გააცნო და აღნიშნა, რომ იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო დეპარტამენტის მომართვის საფუძველზე კომისიამ განახორციელა ჩუღურეთის რაიონში, პაატა სააკაძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიის შესწავლა. როგორც დგინდება, პაატა სააკაძის ქუჩის დასაწყისში არსებულ ერთ-ერთ მონაკვეთში შენობა-ნაგებობები საჭიროებს ნუმერაციას, პაატა სააკაძის ქუჩით მათი ნუმერაცია კი დღის წესრიგში დააყენებს ნუმერაციის ცვლილებას სრულ ქუჩაზე. გარდა ამისა, მონაკვეთი წარმოადგენს არა ძირითადი ქუჩის ნაწილს, არამედ ჩიხის ტიპის გეოგრაფიულ ობიექტს. ხსენებული ობიექტის საწყისი წერტილი მდებარეობს პაატა სააკაძისა და დოდო ჭიჭინაძის ქუჩების კვეთაზე არსებულ მოედანთან. ვინაიდან აღნიშნული მოედანი უსახელოა, მისი სახელდებით პაატა სააკაძის ქუჩის ის ნაწილი, რომელზეც დღეის მდგომარეობით შეუძლებელია ნუმერაცია, ბუნებრივად გახდება დოდო ჭიჭინაძის ქუჩასთან არსებული ჩიხი. დოდო ჭიჭინაძის ღვაწლის და მოედნის მდებარეობის გათვალისწინებით, კომისია შესაძლებლად მიიჩნევს მოედნისთვის მსახიობ დოდო ჭიჭინაძის სახელის მინიჭებას.

**აზრი გამოთქვეს:** საკითხთან დაკავშირებით საკითხების საჯარო განხილვას ესწრებოდნენ დარეჯან გაბოძე და მარინე კილაძე. მათ ადგილობრივი მაცხოვრებლების სახელით მადლობა გადაუხადეს კომისიას მხარდაჭერისთვის.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე და მეოთხე საკითხები.

მომხრე - ოთხი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

**გადაწყვიტეს:** ჩუღურეთის რაიონში, დოდო ჭიჭინაძის ქუჩასთან არსებულ უსახელო მოედანს მიენიჭოს მსახიობის დოდო ჭიჭინაძის სახელი.

ჩუღურეთის რაიონში, პაატა სააკაძის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს დოდო ჭიჭინაძის II ჩიხის სახელი.

**5. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, სულიკო თორთლაძის ქუჩის გაგრძელების და ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის სულიკო თორთლაძის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ**

**მოისმინეს:** ლევან აბაშიძის ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. როგორც დგინდება, კრწანისის რაიონში, სულიკო თორთლაძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარეობს ინტენსიური განაშენიანების პროცესი და გზათა ქსელი ჩამოყალიბებული არ არის საბოლოო სახით. აქედან გამომდინარე, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, გადაიდოს საკითხის განხილვა გარკვეული ტექნიკური დეტალების დაზუსტების მიზნით.

მომხრე - ოთხი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

**6. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, გლდანისხევის ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის, მიხეილ გამკაძის სახელის მინჭების შესახებ**

**მოისმინეს:** კომისიის სხდომაზე გლდანის რაიონში, გლდანისხევის ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის, მაიორ მიხეილ გამკაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით იმსჯელეს. როგორც ლევან აბაშიძემ აღნიშნა, მოქალაქის განცხადებას ერთვის მაიორ გამკაძის ბიოგრაფიული მონაცემები და საბრძოლო მოკვლევა, საიდანაც ირკვევა, რომ მიხეილ გამკაძე დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

კომისიამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია დედაქალაქში არსებობდეს აფხზეთის ომში საბრძოლო მოქმედებების მიმდინარეობისას მასზე დაკისრებული სამსახურეობრივი მოვალეობის დროს გმირულად დაღუპული მებრძოლის, მაიორ მიხეილ გამკაძის სახელობის ქუჩა.

**აზრი გამოთქვეს:** საკითხების საჯარო განხილვას ესწრებოდნენ მიხეილ გამკაძის ოჯახის წევრები და განცხადებაზე ერთ-ერთი ხელმომწერი გიორგი ცოცხალაშვილი. მათ მადლობა გადაუხადეს კომისიას აღნიშნული ინიციატივის განხორციელებაში შეტანილი წვლილისთვის და აღნიშნეს, რომ გმირების სახელების არდავიწყება დიდი პატრიოტიზმია და ამ მხრივაც კომისიის როლი ძალიან მნიშვნელოვანია.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეექვსე საკითხი.

მომხრე - ოთხი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

**გადაწყვიტეს:** გლდანის რაიონში, გლდანისხევის ქუჩას მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის, მიხეილ გამკაძის სახელი.

**7.ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ელიას მთის ქუჩის მონაკვეთისთვის და I ჩიხისთვის იელის სახელის მინიჭების შესახებ**

**8. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ელიას მთის ქუჩის გაგრძელების შესახებ**

**მოისმინეს:** ლევან აბაშიძის ინფორმაციით, დღევანდელ სხდომაზე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას მომართვის საფუძველზე ისნის რაიონში, ელიას მთის ქუჩის მოხაზულობის კონფიგურაციის და სახელდების ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხი უნდა განიხილონ. როგორც სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, კომისიის მიერ საკითხის შესწავლის დროს დადგინდა, რომ ელიას მთის ქუჩა მინიჭებული აქვს მახათას აღმართისკენ მიმავალ მთავარ გზას, თუმცა ქუჩის სახელდების პროცესში, დაშვებულია ტექნიკური ხასიათის შეცდომა და ქუჩის მონაკვეთი ნაცვლად იმისა, რომ უერთდებოდეს ძირითად, მახათას აღმართს, უხვევს აღმოსავლეთით, კერძო დასახლებაში. აღსანიშნავია, რომ ტერიტორიაზე არსებობს არაერთი შენობა-ნაგებობა, რომელთა საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტები არ იძებნება საჯარო რეესტრის ელექტრონულ პორტალებზე, თუმცა ტერიტორიაზე არსებობს რამდენიმე საკადასტრო ერთეული, რომლებიც რეგისტრირებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

კორექტირებისთვის მნიშვნელოვანია ცვლილების განხორციელება: ელიას მთის ქუჩის მონაკვეთის დამოუკიდებელ ქუჩად ჩამოყალიბება, ხოლო მახათას აღმართამდე არსებული უსახელო მონაკვეთისთვის ელიას მთის სახელის მინიჭება.

ელიას ქუჩის მონაკვეთს და ჩიხს კომისიას სურს იელის სახელი მიანიჭოს. ვინაიდან აღნიშნულ ტერიტორიაზე მრავლადაა ველურ პირობებში აღმოცენებული იელი და მიმდებარედ ქუჩებს ასევე მინიჭებული აქვს ზეთისხილის და კვიპაროსისის სახელები. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია სახელდების თემატურად განხორციელება.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - ოთხი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

**გადაწყვიტეს:** ისნის რაიონში, ელიას მთის ქუჩის მონაკვეთს და I ჩიხს მიენიჭოს იელის სახელი.

ისნის რაიონში, გაგრძელდეს ელიას მთის ქუჩა.

**9.ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ოქროყანაში, ცივი წყაროს ქუჩის გაგრძელების შესახებ**

**მოისმინეს:** ლევან აბაშიძემ სხდომაზე სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო დეპარტამენტის ურთიერთთანამშრომლობის მნიშვნელობაზე ისაუბრა, რაც ხელს უწყობს დედაქალაქში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი დამისამართების პროცესის განხორციელებას.

მოქალაქე მაკა ჯორბენაძის მიმართვის საფუძველზე (2025 წლის 30 მაისის საქმე #06-032514967-03), მოთხოვნილია უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდება წავკისში (ს.კ.01.15.08.022.012).

საკითხის შესწავლის პროცესში დადგინდა, რომ უსახელო გეოგრაფიულო ობიექტი მდებარეობს ცივი წყაროს ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია აღნიშნული ქუჩის გაგრძელება.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეცხრე საკითხი.

მომხრე - ოთხი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

**გადაწყვიტეს:** მთაწმინდის რაიონში, ოქროყანაში, გაგრძელდეს ცივი წყაროს ქუჩა.

**10. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, გიორგი ოდიშვილის ქუჩასთან არსებული ორი უსახელო შესახვევისთვის გიორგი ოდიშვილის I და II შესახვევების სახელის მინიჭების შესახებ**

**მოისმინეს:** ლევან აბაშიძემ კომისიის წევრებთან ერთად გლდანის რაიონში, გიორგი ოდიშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევების სახელდებასთან დაკავშირებით იმსჯელა და აღნიშნა, რომ კომისიის წარმომადგენლებმა ადგილზე

მოახდინეს ტერიტორიის შესწავლა. როგორც დგინდება, ტერიტორიაზე გლდანის რაიონის გამგეობის მიერ მიმდინარეობს მიწისქვეშა კომუნიკაციების მოწესრიგების საკითხი. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ტერიტორიაზე არსებული უსახელო შესახვევების სახელდების განხორციელება. კომისიის გადაწყვეტილებით, უსახელო შესახვევებს ძირითადი ქუჩის სახელი მიენიჭება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეათე საკითხი.

მომხრე - ოთხი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

**გადაწყვიტეს:** გლდანის რაიონში, გიორგი ოდიშვილის ქუჩასთან არსებულ ორ უსახელო შესახვევს მიენიჭოს გიორგი ოდიშვილის I და II შესახვევების სახელი.

ლევან აბაშიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

ლევან აბაშიძე